დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტი

დავით მჭედლიშვილი

პ/ნ 01010001924

ქ. თბილისი, ნუცუბიძის 3 მ/რ, I კვ, 7 კორპ. ბ. 8 ტელ: 599 91-68-10

ხელწერილი

დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტი დავით მჭედლიშვილი გაცნობილი ვარ საქართველოს სსსკ 166-168-ე მუხლის თანახმად ექსპერტის მოვალეობებსა და უფლებებს.

წინასწარი შეცნობით ყალბი დასკვნის [illegible] პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ სსკ 370-ე მუხლით.

(ხელმოწერა)

ექსპერტიზის დასკვნა

№29 08 ნოემბერი 2016წ.

2016 წლის 01 ნოემბერს დამოუკიდებელ სასამართლო ექსპერტ დავით მჭედლიშვილთან მოქ. ეთერ ხუციშვილის, ეთერ ლიპარტელიანის, ნიკოლოზ არჩვაძის, ზვიანი მაჩხოშვილის, გიორგი წიკლაურის, ალიკო კიკნაძის, ბეგლარ გელაშვილის, ბექა ხაბულიანის და შპს „ცეკერი“-ს სახელით შემოვიდა განცხადება მრავალბინიანი 11-სართულიანი კორპუსის მეორე სართულზე განთავსებული ღია აივნების გადახურვასთან დაკავშირებით.

ექსპერტს გადასაწყვეტად დაესვა შემდეგი კითხვა:

1. საინჟინრო-ტექნიკური ნორმების მოთხოვნების შესაბამისად შესაძლებელია თუ არა ქ. თბილისში, გლდანის მასივში ხიზაბავრის ქ. №47-ში ყოფილი თიანეთის გზატკეცილი №8, ს/კ 01.11.12.018.043 განთავსებულ 11-

სართულიანი მრავალბინიანი კორპუსის მეორე სართულზე განთავსებული ღია აივნების გადახურვის მოწყობა წარმოდგენილი ესკიზური პროექტის მიხედვით.

გამოყენებული მასალები:

– განცხადება ექსპერტიზის დანიშვნაზე;
– ღია აივნის გადახურვის ესკიზები.

ექსპერტიზის ჩატარება დამევალა ექსპერტ დავით მჭედლიშვილს, მშენებელ ინჟინერს 46 წლის სტაჟით, მათ შორის ექსპერტად მუშაობის 34 წლის სტაჟის მქონეს.

შენიშვნა: საექსპერტო კვლევა ტარდება საქმეში არსებული მასალებისა და საკვლევი ობიექტის ადგილზე დათვალიერებისა და შესწავლის მეთოდით.

გამოკვლევა

როგორც წარმოდგენილი საქმის მასალების ანალიზითა და საკვლევი ობიექტის ადგილზე დათვალიერებით დგინდება, ქ. თბილისში, გლდანის მასივში ხიზაბავრის ქ. №47-ში ყოფილი თიანეთის გზატკეცილი №8, ს/კ 01.11.12.018.043 განთავსებული მრავალბინიანი კორპუსი წარმოადგენს 11-სართულიანს, რომლის მეორე სართულზე განთავსებულ ბინებს პროექტის შესაბამისად გააჩნიათ ღია ტიპის აივნები. იხ. დანართი 1-ი ჩემს მიერ ადგილზე გადაღებული ფოტო-მასალა.

აღსანიშნავია, რომ ადგილზე დეტალური დათვალიერებით დგინდება, რომ აღნიშნულ საკვლევ საცხოვრებელ შენობას ღია გადახურვის გარეშე აივნები მხოლოდ მეორე სართულზეა განთავსებული, რომლის მოაჯირიც ამოშენებულია და ატმოსფერული ნალექებისაგან განსატვირთავად (აღმოსაფხვრელად) მეტალის წვრილი მილია მოაჯირის კედელში მოწყობილი. იხ. დანართი 1-ი ფოტო-მასალა, ხოლო იმის გამო რომ ზედა 9-სართულის ფანჯრის ღიობებიდან და მომრგვალებული აივნებიდან მეორე სართულზე გადახურვის გარეშე მოწყობილ აივნებზე ხდება ჩახედვა და შემთხვევით გადმოვარდნილი მძიმე ნივთების მოხვედრა. რაც საფრთხეს უქმნის აივანზე მყოფ ადამიანთა სიცოცხლეს. ასევე აივნის ზედა სართულებიდან მოხვედრილი სიგარეტის ნამწვავები და ქარის შედეგად მოხვედრილმა ფოთლებმა შეიძლება გაჭედოს

ღია აივანის ამოშენებულ მოაჯირის კედელში მოწყობილი მილი, ხოლო ძლიერი ატმოსფერული ნალექების დროს მოხდება აივანზე დიდი რაოდენობით წყლის დაგროვება და ბინაში მოხვედრა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძლიერი ატმოსფერული ნალექები ამ წვრილი მილის მეშვეობით გაჭედვის გარეშეც ვერ მოახდენს აივნიდან წყლის განტვირთვას (გატარებას). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მშრალ ქარიან ამინდმა შესაძლებელია გამოიწვიოს ხანძარი.

გამომდინარე, ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ბინებზე ატმოსფერული ნალექების მოხვედრა და დაცულ იქნეს ადამიანთა სიცოცხლის უსაფრთხოება. აუცილებელია აღნიშნულ მრავალბინიანი 11-სართულიანი კორპუსის მეორე სართულის მობინადრეებმა მათ კუთვნილ ღია გადახურვის გარეშე არსებულ აივნებს მოუწყონ წარმოდგენილი ესკიზური ნახაზის მიხედვით მსუბუქი ტიპის ხის შველერებითა და მეტალო კერამიკის ფილებით გადახურვა. იხ. დანართი 2-რი გადახურვის ესკიზი. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახით აივნის გადახურვით სრულად იქნება დაცული საინჟინრო-ტექნიკური და სანიტარული ნორმები.

დ ა ს კ ვ ნ ა

1. ქ. თბილისში, გლდანის მასივში ხიზაბავრის ქ. №47-ში ყოფილი თიანეთის გზატკეცილი №8, ს/კ 01.11.12.018.043 განთავსებულ 11-სართულიანი მრავალბინიანი კორპუსის მეორე სართულზე განთავსებული ღია აივნების გადახურვის მოწყობა წარმოდგენილი ესკიზური პროექტის მიხედვით საინჟინრო-ტექნიკური და სანიტარული ნორმების მოთხოვნების შესაბამისად შესაძლებელია, უფრო მეტიც აუცილებელია.

იხ. გამოკვლევითი ნაწილი დანართ 1 და 2-ესკიზურ პროექტთან ერთად.

ინჟ. ექსპერტი: დ. მჭედლიშვილი

№29 ექსპერტიზის დასკვნის გაბრძელება





ინჟ. ექსპერტი

დ. მჭედლიშვილი

№29 ექსპერტიზის დასკვნის ბაბრძელება





ინჟ. ექსპერტი



დ. მჭედლიშვილი

№29 ექსპერტიზის დასკვნის გაბრძელება





ინჟ. ექსპერტი

დ. მჭედლიშვილი

№29 ექსპერტიზის დასკვნის გაბრძელება





ინჟ. ექსპერტი

დ. მჭედლიშვილი

№29 ექსპერტიზის დასკვნის გაგრძელება





ინჟ. ექსპერტი დ. მჭედლიშვილი

№29 ექსპერტიზის დასკვნის ბაბრძელება





ინჟ. ექსპერტი

დ. მჭედლიშვილი

№29 ექსპერტიზის დასკვნის გაბრძელება





ინჟ. ექსპერტი



დ. მჭედლიშვილი

№29 ექსპერტიზის დასკვნის გაბრძელება



ინჟ. ექსპერტი



დ. მჭედლიშვილი

№29 ექსპერტიზის დასკვნის გაბრძელება





ინჟ. ექსპერტი

დ. მჭედლიშვილი